საინფორციო ფურცელი - შეთავაზება

1. **მზღვეველი:** სააქციო საზოგადოება - სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
2. **დაზღვევის ხელშეკრულების სახე:** სახლის დაზღვევა;
3. **დაზღვეული რისკის აღწერილობა/სადაზღვევო დაფარვის პირობები:**

მზღვეველი ანაზღაურებს უშუალოდ ისეთ ზარალს, რომლის გამომწვევი პირდაპირი მიზეზია:

ძირითადი პროდუქტი:

I ჯგუფი - FLEXA: ხანძარი, აფეთქება (გაზის წნევის მომატების ან აირის გაჟონვის გამო), მეხის დაცემა, თვითმფრინავის და სხვა საჰაერო მოწყობილობის ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა;

II ჯგუფი - სტიქიური მოვლენა: მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ და მეტი სიჩქარით, წყალდიდობა (სტიქიური მოვლენის შედეგად, მდინარის, ტბის, ზღვის, წყალსაცავის ნაპირებიდან გადმოსვლა), სეტყვა, უხვთოვლიანობა (თოვლის საფარი 1 მეტრი და მეტი სიმაღლის), ზვავი;

III ჯგუფი - მართლსაწინააღმდეგო ქმედება: ქურდობა შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;

IV ჯგუფი - დატბორვა: მეზობლიდან წყლის უეცარი და მოულოდნელი ჩამოსვლა, წყალ-საკანალიზაციო (მათ შორის ჟოლობი) სისტემის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლით დატბორვა;

დამატებითი პროდუქტები:

- მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობა;

მზღვეველი აანაზღაურებს დამზღვევზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, თუ დაზღვეული ქონების გამოყენებისას წარმოქმნილი შემდეგი დაზღვეული რისკების: ხანძრის, აფეთქების, დატბორვის ან კონსტრუქციული ელემენტის, დამონტაჟებული საგნის / მოწყობილობის ვარდნის ან შენობის ნგრევის შედეგად ზიანი მიადგა მესამე პირის ქონებას ან ჯანმრთელობას თანახმად დაზღვევის პირობებისა;

- მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ გამოწვეული ზარალი;

გარდა ძირითადი პროდუქტით დაზღვეული რისკის გამოვლინების შედეგად განცდილი ზარალისა, მზღვეველი ასევე აანაზღაურებს ისეთ ზარალს, როდესაც მოიჯარე დააზიანებს დამზღვევის დაზღვეულ ქონებას და ბრალს აღიარებს (უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული, ზიანის ოდენობის მითითებით) თანახმად დაზღვევის პირობებისა;

- მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობა;

მზღვეველი აანაზღაურებს დამზღვევზე დაკისრებულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, თუ დაზღვეული ქონების გამოყენებისას ზიანი მიადგა მოიჯარის პირად ქონებას ან ჯანმრთელობას თანახმად დაზღვევის პირობებისა;;

- საიჯარო შემოსავლის დაკარგვა;

მზღვეველი აანაზღაურებს დაკარგულ საიჯარო შემოსავალს (დაზღვეული ქონების აღდგენამდე ან ახალი ქონების შეძენამდე მაქსიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში), თუ ძირითადი პროდუქტით დაზღვეული რისკის გამოვლინების შედეგად, დაკარგავთ

დაზღვეული ქონებიდან მისაღებ საიჯარო შემოსავალს, თანახმად დაზღვევის პირობებისა;

4. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გარდა სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი - არ არის გათვალისწინებული

5. ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები

ფრანშიზა წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას (შესაძლოა გამოისახოს როგორც სადაზღვევო ლიმიტის ან ზარალის პროცენტი ან დღეების რაოდენობა). რისკის გადანაწილება ხდება შემდეგნაირად: ყოველი ზარალის დროს, თუ დაზღვეული შემთხვევით გამოწვეული ზარალი ნაკლებია ფრანშიზაზე მას მთლინად ფარავს დამზღვევი, ხოლო თუ ზარალი ფრანშიზაზე მეტია, დამზღვევი ფარავს ფრანშიზის ტოლ ნაწილს და დანარჩენს ფარავს მზღვეველი;

ფრანშიზის ოდენობა:

I ჯგუფი: FLEXA – 0;

II ჯგუფი: სტიქიური მოვლენა - ჯამური სადაზღვევო ლიმიტის 1%, მიწისძვრისთვის 3%;

III ჯგუფი: მართლსაწინააღმდეგო ქმედება - 0%;

IV ჯგუფი: დატბორვა - პირველად დამდგარ შემთხვევა 0, ყოველ მომდევნო - ზარალის 50%;

დამატებითი პროდუქტები:

მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობა - 0;

მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ გამოწვეული ზარალი - 500 ლარი თითო მოიჯარეზე;

მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობა - 0;

საიჯარო შემოსავლის დაკარგვა - 7 დღე;

6. უარი ანაზღაურებაზე

მზღვეველს უფლება აქვს უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე, თუ:

- **დაზღვეული ქონების მესაკუთრემ, მასში მუდმივად მცხოვრებმა პირმა ან ჩამოთვლილიდან რომელიმეს ნებართვით დაზღვეულ სახლში მყოფმა პირმა ჩაიდინა განზრახ ქმედება ან გამოიჩინა უხეში გაუფრთხილებლობა;**
- **დაზღვეული ქონების დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტი, დამზღვევმა არ შეატყობინა მზღვეველს გაგებიდან 24 საათში;**
- **სხვა დაზღვევის წარმოქმნის შემთხვევაში ინფორმაცია, გაგებისთანავე, დამზღვევმა არ მიაწოდა მზღვეველს;**
- **სადაზღვევო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, დამზღვევმა წარმოადგინა არაზუსტი/ყალბი ინფორმაცია, საბუთი ან ცნობა;**
- **უკიდურესი კეთილსინდისიერების დათქმის თავში მითითებული ინფორმაცია დამზღვევმა დროულად არ აცნობა მზღვეველს ან დამზღვევის შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს, ან დაზღვევის განაცხადში დამზღვევის მიერ მითითებული ინფორმაცია არაზუსტი ან ყალბია (მაგ. არასწორად მიეთითა შენობის აშენების წელი);**

- **დამზღვევმა არ მიიღო ყველა შესაძლო გონივრული ზომა მიმართული ზარალის მინიმიზაციისკენ, დაზღვეული ქონების გადასარჩენად/ შესანარჩუნებლად;**
- **დამზღვევმა არ ითანამშრომლა მზღვეველთან სადაზღვევო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, მათ შორის არ შეასრულა მზღვეველის მითითებები.**
- **მზღვეველთან, წინასწარი შეთანხმების გარეშე დამზღვევმა მიიღო დაზიანებული ქონების აღსადგენი ზომები ან შეცვალა ზიანის ამსახველი ვითარება;**
- **მზღვეველთან, წინასწარი, წერილობითი, შეთანხმების გარეშე დამზღვევმა აღიარა ბრალი ან გადაუხადა მესამე პირს (მათ შორის მოიჯარეს) კომპენსაცია ან აანაზღაურა სასამართლო/სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები.**
- **მესამე პირთა (მათ შორის მოიჯარის) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, დამზღვევმა ცნო სარჩელი (ან მისი ნაწილი) ან/და დაზარებულ მხარესთან მორიგდა მზღვეველის წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, ან დამზღვევის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.**
- **დამზღვევმა უარი თქვა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნაზე ან მოთხოვნის უფლებაზე ან არ მიაწოდა მზღვეველს ის საბუთები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად, რის შედეგადაც მზღვეველის მიერ სუბროგაციული უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა.**
- **პირველი ან ერთჯერადი პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების გაცემის პასუხისმგებლობისგან;**

7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

- დაზღვეული ქონების დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტის გაგებისთანავე, დამზღვევმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ სატელეფონო ცენტრში, ნომერზე: +995 32 2444 999;
- შემთხვევის დასაფიქსირებლად, მზღვეველის სატელეფონო ცენტრის ოპერატორს დასჭირდება დამზღვევის პირადი მონაცემები და შემთხვევის დეტალები. ზოგადად, ნებისმიერი სახის ზიანის დადგომისას, შესაძლებლობის ფარგლებში, დამზღვევმა უნდა მიიღოს ქონების გადასარჩენად მიმართული ყველა გონივრული ზომა (მაგ. ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის/ვანდალიზმის დროს აუცილებელია დამზღვევმა გამოიძახოს საპატრულო პოლიცია, ხანძრის (აფეთქება) დროს- აუცილებელია - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი (სახანძრო) და საპატრულო პოლიცია). ზიანთან დაკავშირებული, ყველა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი დამზღვევმა აუცილებლად უნდა მიაწოდოს მზღვეველს, ასევე, მზღვეველთან შეუთანხმებლად, დამზღვევმა არ უნდა შეცვალოს ზიანის ამსახველი ვითარება და არ მიიღოს დაზიანებული ქონების აღსადგენი ზომები.

- შემთხვევის დაფიქსირების შემდგომ, მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე, მზღვეველი დამზღვევს მიაწოდებს დეტალურ ინსტრუქციებს თუ რა ინფორმაცია/დოკუმენტაცია არის საჭირო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად;
- ყველა აუცილებელი საბუთის და ინფორმაციის მიღების შემდგომ, 10 სამუშაო დღის ვადაში, მზღვეველი დამზღვევს შეატყობინებს დაკმაყოფილდება თუ არა მოთხოვნა და რა თანხით. თანხის გაცემა ხდება, ორმხრივად ხელმოწერილი აქტის საფუძველზე, რაც წარმოადგენს ორივე მხარის მიერ ანაზღაურებაზე შეთანხმების დასტურს;
- მზღვეველი უფლებას იტოვებს გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის, დაზღვეული ქონების მესაკუთრის, მასში მუდმივად მცხოვრები პირის ან ჩამოთვლილიდან რომელიმეს ნებართვით დაზღვეულ ტერიტორიაზე მყოფი პირის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
- პრემიის პერიოდულად გადახდის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილი არის ანაზღაურების ოდენობიდან გამოვქვითოს გადასახდელი პრემია სრული ოდენობით;
- შემთხვევის გამომწვევი მიზეზების ან ზარალის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილი არის, საკუთარი ხარჯით, მოითხოვოს აკრედიტირებული ექსპერტიზის ჩატარება.

წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტი არ არის დაზღვევის ხელშკრულების იდენტური ძალის მქონე

თქვენ მიერ წინამდებარე შეთავაზების გაცნობა და ჩვენს მიერ შეთავაზებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს თქვენსა და ჩვენს შორის